საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-11/440
25/07/2019

440-გ-19-1-4-201907251714

შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგოს“ (ს/კ 230031195)
წილის 66,67%-ის ფიზიკურ პირ ანდრო ლომთაძის მიერ შეძენაზე
თანხმობის მიცემის საკითხის განხილვის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში “კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას 2019 წლის 10 ივლისს წერილით მიმართა შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგომ“ (კომისიაში რეგისტრაციის №შ-19-6/2951 10.07.2019), შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგოს“ წილის 66,67%-ის ფიზიკურ პირ ანდრო ლომთაძის მიერ შეძენაზე წინასწარი თანხმობის მიღების მოთხოვნით.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, წილის შეძენის განზრახვის შესახებ კომისიას უნდა ეცნობოს შეძენის განხორციელებამდე. შეტყობინების ვალდებულება ეკისრება ავტორიზებულ პირს, რომლის წილის შეძენაც ხდება.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შერწყმის ან შეძენის თაობაზე ავტორიზებული პირის სრულყოფილი შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში გასცეს თანხმობა შერწყმაზე ან შეძენაზე ან ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის მოხდენის დადგენის მიზნით მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის ან შეძენის გამოკვლევის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგო“ წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეზე:

A.T.1 ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელითა და საშუალებებით ასევე შესაბამისი ელემენტებით უზრუნველყოფა

ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელითა და საშუალებებით ასევე შესაბამისი ელემენტებით უზრუნველყოფა

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგო“ წარმოადგენს მაუწყებლობაზე ავტორიზებულ პირს და ავტორიზაცია გავლილი აქვს შემდეგ სახეზე:

მაუწყებლობის სახე:	**ტელემაუწყებლობა**
მაუწყებლობის სახეობა:	**კერძო მაუწყებლობა**
მაუწყებლობის ქვესახეობა:	**საერთო ტელემაუწყებლობა**

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგო“ ფლობს რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლებას ქ. ზესტაფონში ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელების მულტიპლექს სისტემით მომსახურების უზრუნველსაყოფად.

კომისიის საერთო სტატისტიკურ ბაზაში არსებული ინფორმაციის თანახმად, შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგოს“ ელექტრონული საკომუნიკაციო საქმიანობიდან შემოსავლები არ გააჩნია.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგოს“ პარტნიორები არიან: ფიზიკური პირი ზურაბ ლომთაძე (წილის 22,22%-ის მფლობელი), ფიზიკური პირი მარინა ჯუღელი (წილის 11,12%-ის მფლობელი), ფიზიკური პირი ნუშა ვეფხვაძე (წილის 11,11%-ის მფლობელი), ფიზიკური პირი ლალი მუმლაძე (წილის 11,11%-ის მფლობელი), ფიზიკური პირი იგორ ევტუშენკო (წილის 11,11%-ის მფლობელი), ფიზიკური პირი ჯემალ დადეშელი (წილის 11,11%-ის მფლობელი), ფიზიკური პირი ლერი ბიწაძე (წილის 11,11%-ის მფლობელი), ფიზიკური პირი გოჩა ტომასკე (წილის 11,11%-ის მფლობელი).

შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგოს“ პარტნიორების - მარინა ჯუღელის, ნუშა ვეფხვაძის, ლალი მუმლაძის, იგორ ევტუშენკოს, ჯემალ დადეშელის და ლერი ბიწაძის წილები, ჯამში 66,67%-ის ოდენობით, განზრახული აქვს შეიძინოს ფიზიკურ პირ ანდრო ლომთაძეს.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემების თანახმად, შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგოს“ წილის 66,67%-ის შეძენის მსურველის ფიზიკურ პირ ანდრო ლომთაძის აფილირება სხვა ავტორიზებულ პირებთან არ დგინდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფიზიკურ პირ ანდრო ლომთაძის მიერ შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგოს“ წილის 66,67%-ის შეძენა ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე გავლენას ვერ იქონიებს და აღნიშნული ტრანზაქცია შეიძლება მიჩნეულ იქნეს თავსებადად არსებულ კონკურენტულ გარემოსთან.

შესაბამისად, კომისიამ მიიჩნია, რომ არ არსებობს ფიზიკურ პირ ანდრო ლომთაძის მიერ შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგოს“ წილის 66,67%-ის შეძენაზე თანხმობის მიცემის დამაბრკოლებელი გარემოებები.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე, 26-ე და 27-ე მუხლების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგოს“, შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგოს“ წილის 66,67%-ის ფიზიკურ პირ ანდრო ლომთაძის მიერ შეძენაზე;

2. განემარტოს შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგოს“, რომ ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, წილის მფლობელის ცვლილების შემთხვევაში, შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგო“ ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე კომისიას აცნობოს შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში;

3. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას ამ გადაწყვეტილების შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგოსათვის“ გადაგზავნა (ო. ვოტ);

4. გადაწყვეტილება ძალაში შედის ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგოსათვის“ ჩაბარების დღიდან;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6), შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგოსათვის“ ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში;

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტს (დ. გოგიჩაიშვილი).

ელისო ასანიძე

კომისიის წევრი

კახი ბექაური

კომისიის თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი